

საქართველოს ეროვნული ბანკი აცხადებს ვაკანსიას საკასო ოპერაციებისა და ნაღდი ფულის მიმოქცევის დეპარტამენტის ნაღდი ფულის მიმოქცევისა და ფულის ნიშნების დამზადების განყოფილების სპეციალისტის პოზიციაზე.

სამუშაო სპეციფიკა: პოზიცია მოიცავს დინამიურ და მრავალმხრივ სამუშაოს პროფესიონალების გუნდში, რაც საშუალებას აძლევს დასაქმებულს სრულად წარმოაჩინოს და განავითაროს საკუთარი შესაძლებლობები, მათ შორის შიდა და ორგანიზაციის გარეთ ტრენინგების მეშვეობით

ფუნქცია - მოვალეობები:

- ეროვნული ბანკის მიერ გამოსაშვები ფულის ნიშნებისა და სხვა სარეალიზაციო პროდუქციის დამზადება-შესყიდვისა და მიმოქცევაში გაშვების ოპერაციების უზრუნველყოფა;
- ნაღდი ფულის მიმოქცევის ხარისხის მართვისა და ფულის ნიშნების დამუშავების სფეროს სრულყოფისათვის კონკრეტული ინსტრუმენტების დანერგვასა და რეგულაციების შემუშავებაში მონაწილეობა; ბანკნოტებისა და მონეტების რეპროდუქციის, გამოცვლისა და ბრუნვიდან ამოღების საკითხებზე კონკრეტული წინადადებების მომზადება;
- ნაღდი ფულის მიმოქცევის რეგულირებისა და მართვის კუთხით სხვა ცენტრალური ბანკების პოლიტიკის, პროცედურების, სამართლებრივი ნორმების, კანონმდებლობისა და გამოცდილების შესწავლა, არსებულ მდგომარეობასთან შედარება და შესაბამისი ანალიტიკური მასალების მომზადება;
- საკოლექციო, საინვესტიციო მონეტების დამზადება-რეალიზაციის მიზნით ინფორმაციის მოძიება, სხვა ცენტრალური ბანკების გამოცდილების შესწავლა, ანალიზი და საინტერესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით წინადადებების მომზადება.
- წლიური და კვარტალური ანგარიშების გამოცემისათვის და აგრეთვე ბიუჯეტის შედგენის მიზნებისათვის კომპეტენციის ფარგლებში ანგარიშგებითი ხასიათის ინფორმაციების მომზადება;
- კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო, ნორმატიული და სხვა სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობა

ძირითადი მოთხოვნები:

- უმაღლესი განათლება (სასურველია იურიდიულ სფეროში)
- ინგლისური ენის სრულყოფილად ცოდნა
- გამართული წერა როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაზე
- სასურველია პროექტების მართვის საფუძვლების ცოდნა
- MS Word, Outlook, PowerPoint – სამომხმარებლო დონეზე ცოდნა

გამოცდილება:

– სასურველია ანალიტიკური და პროექტების მართვის მიმართულებით მუშაობის 2 წლიანი გამოცდილება.

კომპეტენციები:

- გარე ან/და შიდა მომხმარებლის მომსახურებაზე ორიენტირებულობა;
- მოლაპარაკებების წარმართვა;
- წერილების, ანგარიშების, შეთავაზებების მომზადება;
- ცვლილებების ინიცირება და მართვა;
- კრიტიკული აზროვნება;
- დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;
- შედეგზე ორიენტაცია;
- დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;
- მოქნილობა და ცვლილებებზე ადაპტურობა.

კონკურსის ფორმა:

- წერიტი დავალება
- გასაუბრება

თანამდებობრივი სარგო: 2400 ლარი (დარიცხული)

დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ 2019 წლის 3 სექტემბრამდე CV გამოაგზავნოთ ელექტრონული ფოსტის შემდეგ მისამართზე: vacancies@nbg.gov.ge და სათაურში მიუთითეთ ვაკანსიის დასახელება: **ნაღდი ფულის მიმოქცევისა და ფულის ნიშნების დამზადების განყოფილების სპეციალისტი.**